European Bank for Reconstruction and Development

DFF ავერსი ფარმა

მდებარეობა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	57339
ბიზნეს სექტორი:	აფთიაქები და წამლის საცალო ვაჭრობის ობიექტები
შეტყობინების ტიპი:	კერძო
გარემოს დაცვის კატეგორია:	B
დამტკიცების თარიღი:	19 მაისი, 2026
სტატუსი:	კვლევის ეტაპი, ელოდება საბოლოო მიმოხილვას
ინგლისური ვერსიის გაზიარების თარიღი:	18 მაისი, 2026 "ინფორმაციაზე წვდომის შესახებ დირექტივის 1.4.2 (iii) მუხლის თანახმად: „იმ პროექტებისთვის, რომლებიც დამტკიცებულია ბანკის მენეჯმენტის მიერ იმ შემთხვევებში, როდესაც დირექტორთა საბჭომ დამტკიცების უფლება მენეჯმენტს გადააბარა, PSD უნდა გამოქვეყნდეს ბანკის წევრ ქვეყანაში არაწინააღმდეგობის (no-objection) შეტყობინების პერიოდის დაწყებისთანავე, EBRD -ის ევროპის დამფუძნებელი შეთანხმების 13 (iii) მუხლის შესაბამისად.“

პროექტის აღწერა

დაგეგმილი ტრანზაქცია ითვალისწინებს 10 მილიონ ევრომდე ოდენობის უზრუნველყოფილი სესხის გამოყოფას 5-წლიანი ვადით, რომელიც მიმართული იქნება თბილისში ახლადშეძენილი საწყობის რემონტისა და ავტომატიზაციის კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

პროექტის მიზნები

პროექტის მიზანია ჯგუფის არსებული საწყობების ერთ მთავარ ობიექტად გაერთიანება, საცალო და საბითუმო ფარმაცევტული ოპერაციების ხელშეწყობა და ენერგოეფექტურობის ზომების გატარება, რაც გარემოზე ზემოქმედების შემცირებას უზრუნველყოფს.

მოსალოდნელი გარდაქმნის ეფექტი

ETI ქულა: 63

კონკურენტუნარიანი: პროექტის ფარგლებში განხორციელდება ოპერაციული ცვლილებები. შედეგად გაიზარდება კომპანიის კონკურენტუნარიანობა ახლახან შეძენილი საწყობის ახალი დანიშნულებით გამოყენების გზით, რაც მიზნად ისახავს ოპერაციული მუშაობის გაუმჯობესებას ლოჯისტიკის გამარტივებით და ნახშირბადის კვალის (CO2) შემცირებით.

ინკლუზიური: პროექტი აფართოებს ბაზარზე შესაბამის უნარებსა და ტრენინგ შესაძლებლობებზე წვდომას სამი სპეციალურად შემუშავებული ელექტრონული სწავლების პროგრამის მეშვეობით 1000-ზე მეტი პროფესიონალისთვის. მოსალოდნელია, რომ ეს პროცესი ფარმაცევტულ სექტორში კერძო სექტორის მოთხოვნასა და შრომის ბაზარს შორის კვალიფიკაციის სხვაობის შემცირებას შეუწყობს ხელს.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

შპს ავერსი-ფარმა

1999 წელს დაარსებული „ავერსი-ფარმა“ წამყვანი ქართული ფარმაცევტული ჯგუფია, რომლის ძირითადი საქმიანობა ფარმაცევტული და თავის მოვლის საშუალებების გაყიდვა და დისტრიბუციაა.

EBRD-ის დაფინანსების მოცულობა

10,000,000.00 ევრო.

პროექტის საერთო ღირებულება

22,000,000.00 ევრო

დამატებითობა

პროექტში EBRD-ის დამატებითობა უკავშირდება: (i) ბანკის გრძელვადიან ურთიერთობას

კლიენტთან, რაც კომპანიისთვის ქმნის კომფორტს სპეციალურად აშენებული, ავტომატიზირებული ობიექტის დაფინანსებისთვის, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ფარმაცევტულ სტანდარტებს; (ii) რისკების შემცირებას რეგიონული და გლობალური გეოპოლიტიკური არასტაბილურობის დროს.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მიენიჭა კატეგორია B (2024 ESP). გარემოს დაცვისა და სოციალურმა წინასწარმა კვლევამ (ESDD) დაადგინა, რომ პროექტთან დაკავშირებულ გარემოს დაცვისა და სოციალურ რისკებზე რეაგირება შესაძლებელია კარგი საერთაშორისო პრაქტიკის (GIP) და ESAP-ის დანერგვით. ESDD ჩატარდა კომპანიის შიგნით და მოიცავდა შევსებულ კითხვარებს და კომპანიის დოკუმენტაციის მიმოხილვას. გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP) შეთანხმებულია კომპანიასთან. კომპანიაში სრულად აცნობიერებენ საქმიანობასთან დაკავშირებულ შრომის, გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს და აქვთ შესაძლებლობა პროექტი განახორციელონ ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალური მოთხოვნების (ESR) შესაბამისად. კომპანიას აქვს ოთხი საწყობი, რომლებიც სერტიფიცირებულია კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის (GDP) შესაბამისად და ერთი სერტიფიცირებულია ISO9001 სტანდარტით. პროექტით დაფინანსებული საწყობი შეესაბამება GDP-ს. პროექტით, სავარაუდოდ, დაფინანსდება ახალი HVAC სისტემების მონტაჟი და ავტომატიზირებული სისტემების დანერგვა, რომლებიც შექმნილია ოპერაციული ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და ენერგიის მოხმარების შესამცირებლად. კომპანიამ დადო ხელშეკრულება აუთსორსინგ მომსახურების მიმწოდებელთან, რომელიც ამუშავებს ფარმაცევტულ ნარჩენებს და აქვს პროცედურა საშიში ფარმაცევტული პროდუქტების დამუშავებისთვის. კონტრაქტორები რეგულარულად შეფასდებიან GDP სტანდარტების მიხედვით. თანამშრომლებისთვის საჩივრების მექანიზმი მოქმედებს და ვრცელდება კონტრაქტორებსა და ბიზნეს პარტნიორებზე.

კომპანიასთან შეთანხმდა ESAP-ი EBRD-ის ESR-ებთან დაკავშირებით გამოვლენილი მცირე ხარვეზების შესავსებად. ESAP მოითხოვს, რომ ყველა ნებართვა მიღებული იქნას სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე და საწყობმა მიიღოს GDP (კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის) სერტიფიკატი. საკადრო პოლიტიკა უნდა შემუშავდეს EBRD ESR 2-ის შესაბამისად, რომელიც მოიცავს ყველა ასპექტს, მათ შორის გენდერულ ძალადობასა და შევიწროებას (GBVH), დასაქმების და სამსახურიდან გათავისუფლების პირობებს, სამუშაო ძალის შემცირების პროცესებს, კოლექტიურ მოლაპარაკებებსა და ინფორმაციას საჩივრების მექანიზმის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ GBVH-ის კონკრეტული საკითხები არ არის დაკავშირებული კომპანიასთან, ESAP-ში ასევე აღწერილია GBVH ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელების პროცედურები. და ბოლოს, ESAP ითვალისწინებს მოთხოვნებს კონტრაქტორებისთვის, შეიმუშაონ მშენებლობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა და მოითხოვს, რომ კომპანიამ კონტრაქტორის დაქირავების გადაწყვეტილებებში ჩართოს გარემოს დაცვისა და სოციალური დაცვის კრიტერიუმები და გააგრძელოს კონტრაქტორის გარემოს დაცვისა და სოციალური დაცვის მუშაობის მონიტორინგი სარემონტო სამუშაოების დროს.
ბანკი მონიტორინგს გაუწევს პროექტს ყოველწლიური გარემოს დაცვისა და სოციალური ანგარიშის მიმოხილვით და საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ვიზიტების მეშვეობით.

მწვანე შეფასება

პროექტი მიიჩნევა პარიზის შეთანხმების როგორც შერბილების, ასევე ადაპტაციის მიზნებთან შესაბამისად. პროექტი ითვლება 100% მწვანე დაფინანსებად, რადგან ახალი საწყობი ენერგოეფექტურობის მინიმუმ 40%-იან გაუმჯობესებას აჩვენებს, როგორც აბსოლუტური, ასევე ფარდობითი თვალსაზრისით, მოწინავე HVAC სისტემისა და დიზაინთან დაკავშირებული მიღწევების წყალობით. გარდა ამისა, „ავერსი“ ინვესტიციას განახორციელებს ავტომატური კონვეიერის სისტემაში, რაც იძლევა მაღალი სიმჭიდროვის თაროების დამონტაჟების და საწყობის სივრცის უფრო ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას, რითაც შემცირდება საწყობისთვის საჭირო სივრცე. კლიენტის არსებული საწყობები ამჟამად არ იყენებენ ამ ტიპის ავტომატიზაციის სისტემებს, ამიტომ პროექტი საგრძნობლად აუმჯობესებს ენერგიისა და ნახშირბადის ეფექტურობას საწყისთან შედარებით.

ტექნიკური თანამშრომლობა და მოზიდული საგრანტო რესურსები

ტექნიკური თანამშრომლობის კომპონენტებია: (i) სამართლებრივი წინასწარი კვლევა (Legal Due Diligence) დაფინანსებული JECF-ის მიერ (75,000 ევრომდე); (ii) უნარებზე ხელმისაწვდომობა ქართულ ფარმაცევტულ სექტორში, დაფინანსებული A4EG-ის მიერ (50,000 ევრომდე).

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ირაკლი ქსოვრელი
Irakli.Ksovreli@aversi.ge

ალეკო ჩიქოვანი
Aleko.Chikovani@aversi.ge

+995 32 250 65 06
https://aversi.ge/
148 Agmashenebeli Ave, Tbilisi თბილისი, აღმაშენებლის 148

გარდაქმნის ეფექტი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement.
ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის,

ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის

კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM–ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM–ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.